



ვაივალხით ვსაუბრობთ; და თუ ჩვენში მოიპოვებინა კარგი რუსულის ენის მკოდნენი, ისინიც მხოლოდ მათ შორის, რომელთაც რაღაც ბედნიერი შემთხვევით წინად კარგად შეუთვისებიათ ქართული მეტყველება.

(დასასრული ხვალ)

ტფილისი, 1 ივნისი.

დღეს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში ქართულ დრამატულ საზოგადოების წევრთა არა-ჩვეულებრივი კრება დანიშნული.

როგორც 28 მაისს გამგეობის მიერ მიწვეულ კერძო კრებაზედ აღმოჩნდა, მიხვნი ამ არა ჩვეულებრივი კრების დანიშნვის არსებითად შემდეგი თურმეა: რადგანაც გამგეობის წევრებს სამსახურისა ვადა ენკენისთვეში გასდით და ამავე დროს იწყება სეზონი ქართულის წარმოდგენებისა; მაშასადამე, საქიროს სეზონისათვის ყოველივე აღრევე იზრუნოს ახალმა გამგეობამა და ეს საშუალება-კი მოსაზრებელი აქვს, რადგანაც წარმოდგენების წინა დღეებში ან დროსრულიად აღარა აქვს, რომ საქმე უკეთ მოაწყოს, ან-და ავად თუ კარგად გაწესდებულს ძველის გამგეობისაგან უნებურ სამკვიდროთ იღებს, რაიცა ხშირად ახალის წევრების განზრახვისა და გეგმას არ შეეფერება, წინააღმდეგია, ამისათვის დღევანდელს გამგეობას საქიროდ უცნია აღნიშნულის უნებრ-ხულობის თავიდან ასაცილებლათ წევრთა არაჩვეულებრივი კრება აღმოჩნდა და იმისთვის ანგარიშისა და გამგეობის მოქმედების განხილვისა შემდეგ ახალის გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევანი მოახდინოს.

ასეთი მოსაზრება, ეჭვი არ არის, საფუძვლიანი და სამართლიანია, თუნდაც მართლ იმ მხრივ, რომ ზაფხულის სამი თვე მკირედლდ მაინც არის შეაძლებინებს ახალს გამგეობას მომავლის სეზონისათვის იზრუნოს რამე... მაგრამ მხოლოდ მკირედლდ... რადგანაც ჯერ ერთი, საზოგადოდ ზაფხულის თვეები ყველგან და ყველასათვის მოუძღვრები-სა და უმოქმედობის დროა და მეორეც, იმეთს განკერძობულის პირობებში მოუხდება ახალს გამგეობას მუშაობა, რომ მხოლოდ თავ-გან-წირული შრომა და უზომო სიყვარული ჩვენის სასცენო ხელოვნებისა თუ შეაძლებინებს მათ რაიმე სიკეთე დაატყონ საქმესა. მიხვნი ამ გვარის გაქირავებისა-კი შექმნა წარსულმა სეზონმა: თეატრის მოუწყობლობამ, უსინათლობამა და იმ უზომო ზარალით, რომელიც დრამატულმა საზოგადოებამ ტფილისში მოთამაშე სამმართველო არტისტის დასის დასს უზღო და რომელმაც ფინანსები ჩვენის დარბის დრამატულ საზოგადოებისა მთლად დასცარა...

საზოგადოებას ამის გამო უთუოდ დიდი დავალიანება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ თანაგრძნობამ საზოგადოებისამ ქართულის სცენისადმი, ე. ი. წარმოდგენებზედ ხალხის მრავლად დასწრებამ (თითქმის ყველა წარმოდგენას სრული შემოსავალი ქონდა კარდა ორიოდისა), კავკასიის მთავარ-

თებლის თ. კოლიცინის უხვმა შეწირულებამ (1000 მ.). დრამატულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა ჩვეულებრივმა ბალმა, თავად-აზნაურთა კრების მიერ თეატრის ხვედრი საჯარო ფულის პატივბამა და მასთან შეწირულებამ შეაძლებინა არსებული გაქირავება შეემსუბუქებინა, ე. ი. დაეალიანება თავი-დგან აცცილებინა. სამაგიეროდ, უპირატესობა-კი მომავლის სეზონისათვის არავითარი არ შეუქმნია და, თუ რომ წარსული სეზონი ნაღდი ფულით დაიწყო გამგეობამა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიც ყოველ-წლივ ეხმარებოდა ფულით, წრულ სოული უარი განუტყადა, — თავისუფალი თანხა არა გვაქვს, (?) დახმარებ. არ შეგვიძლიანო, და, როგორც შევიტყეთ, არც არასფერი თვითონ გამგეობასა პრჩება თურმე ამ წლის ანგარიშდგანა, რომ მომავალს სეზონს ვადასცეს.

მაშასადამე, თუ რომ ახალმა გამგეობამ ახალი რამ საშუალება არ გამოსძებნა და თავისი ერთგულსა და თავ-განწირულს, საქმეში ჩახედებულს მოქმედებას სიფრთხილვ არ უაუბნდებოდა, ძნელია საქმე რიგაინად წარმართოს, სცენას შესამჩნევი სიკეთე დაატყოს, რაიცა ჩვენს დიდის ხნის სურვილსა და ნატურას შეადგენს. მეორეც, იმედია, წევრებზედ არჩეულ იქმნებიან უფრო საქმეში ჩახედებულნი, თავისუფალნი, რადგანაც დღევანდელ გამგეობიდგან ზოგიერთს წევრს თავისი საკუთარი საქმე დიდად თურმე აბრკოლებდა და შრომის მოყვარე, მხნე კაცები, რადგანაც ჩინის სახლის საქმისა და ჯანსაღი უკან დევნა, თვალ-ყურის დევნება სჭირია.

არ ჩამოვთვლი სხვა მრავალს წვრალმანებსა და აღნიშნავ საზოგადო კრების საყურადღებოდ აგრეთვე იმ გარემოებასა, რომ ჩვენს სცენაზედ ხშირად სრულიად შეუფერებელი და ყოველგვარს დრამატულს ღირსებას მოკლებული პიესები იდგმება, რაიცა მაყურებელს საზოგადოებას გემოვნებას უმახინჯებს, სარგებლობისა ნაცვლად მხოლოდ ზარალს ბმეორეც, თეატრში მოსიარულეთა უფრო შეგნებულსა და გამჩრჩევს ნაწილს ქართულს თეატრს სრულიად აძულებს. ამ გარემოებას საზოგადო კრებამ უთუოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და ამოარჩიოს სარედაქციო კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა შემოემთავოს რეპერტუარი და განიხილოს ახალი პიესები, ან-და პიესის ასეთი აღრევე გარჩევა გამგეობის წევრებსვე დააკისროს, თორემ მასსოვს შარშანდელი სეზონიდგან, მოწონებულს პიესას მერმე თვითონვე იწუნებდნენ და, ვგონებ, აღარ-კი იცოდნენ — ვის წაეკითხნა და ვის მოეწონებინა! ერთი სიტყვით, იმედია, ყოველსავე ნაკლს და შეცდომას წარსულის სეზონისას კრება და ახალი გამგეობა კარგად გაითვალისწინებენ და ეცდებიან მომავალში იგინი თავიდგან აცილონ.

ინანი

## ახალი ამბავი

\* \* დღეს, 1 ივნისისათვის, დანიშნული ქართულ დრამატულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება მოხდება საღამოს 8 საათზედ თავად-აზნაურთა თეატრის ფოიეში.

\* \* საქართველოს საქარხოსოს ზოგიერთა სამრეწლო-საეკლესიო სკოლებში ხშირად შედიან ხოლმე სხვა სარწმუნოების ყმაწვილები, რისთვისაც ამ სკოლებში სწავლა რიგაინად ვერ სწარმოებს; ამის გამო საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს განკარგულება მოუხდენია, რომ სხვა რჯულის ყმაწვილები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღონ, როდესაც მართლმადიდებელ მცხოვრებთა ყველა საქიროება დაქმნა და ამის გარდა ახდენიან მათ სწავლის ქირა თითოს არა ნაკლებ 2 მან. წელიწადში.

\* \* კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამოურჩევია საიუბილეო გამოფენის განყოფილებათა გამგეების თანამშემწეებად: მევენახეობის განყოფილებისა — ა. ა. ეგოროვი, მეღვინეობისა — თავ. ს. რ. ვახუხიშვილი და ა. ზ. ბაბუქაძე-მელიქოვი, შინა მრეწველობის განყოფილებისა — მ. ი. სვენიკოვი.

\* \* ტფილისის გუბერნატორს გადაუცია ტფილისის ქალაქის მოურავისათვის განკარგულების მოსახდენად ქუთაისის ქუჩის (დიდუბეში) მცხოვრებთა თხოვნა ამ ქუჩის მოკაოყველას უყუას.

\* \* როგორც ბოიე-პრომისლიდგან გვაცხადებენ, 25 მაისს ზულ-ოსტოვ-კულტუში ეკლესია დამწვარა, ზარალი 10,000 მანეთამდეა.

\* \* ფოთის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს ფოთის ქალაქის გამგეობისათვის სათადარიგო თანხიდგან 53,55 მ. სესხის აღებისა ქალაქ ფოთზედ დარჩენილ ვალებს გასასტუმრებლად.

\* \* კვირას, 3 ივნისს, მუშტაიდში „ისლის“ საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა იქმნება გამართული.

\* \* გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სერბიის მეფე ალექსანდრე და დედოფალი დრაგა ივნისის დამლევს პეტერბურგში ჩამოვლენ და იქიდგან კავკასიაში გამოემზავრებიან, სადაც ერთს თვის გაატარებენ სამკურნალო წყლებზედ.

\* \* სათანადო დაწესებულებას დაუვალდება ამიერ-კავკასიის საზოგადო დაწესებულებათათვის შეატყობინონ, რამდენი თავისუფალი ადგილია ამ დაწესებულებებში, რომ ამ ადგილებზედ დანიშნონ წლეულს მაღალ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული კავკასიის სტიპენდიანტები.

\* \* ზაქათალის ოლქის რამდენსამე სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მათ შეღავათი მიეცეთ სხვა-და-სხვა გადასახადის გასტუმრების შესახებ.

\* \* წლეულს ტფილისის კადეტთა კორპუსში სწავლა დაუმთავრებია, სხვათა შორის, შემდეგს ქართველებს: თავ. დავ. ჩოლოყაშვილს,

თავ. ალექსანდრე ერისთავს, თავ. გიორგი გედევანიშვილს, ალექსანდრე დიდბულოძეს, ლეონიდ იმნაძეს, თავ. ალექსანდრე ვახუხიშვილს, თავ. ვალერიანე სიღამონ-ერისთავს, გიორგი სარაჯიშვილსა, თავ. ივანე ციციშვილს, ანტონ ნაცვლიშვილს და ვიგტორ თარხნიშვილს.

\* \* 29 მაისს ტფილისელ ხელო-სანთა საზოგადო კრება მოხდა. კრებას უნდა განეხილა საკითხი ხელოსნების მიერ მონაწილეობის მიღების შესახებ მომავალ გამოფენაში. კრებაზე 60-ზე მეტი ხელოსანი იყო, რომელთაგან უმრავლესობა თანახმა გახდა მონაწილეობის მიღებისა. ხელოსნებმა განაცხადეს, რომ ძვირია ადგილი ექსპონატებისათვის. კრების თავმჯდომარე ბ-ნი ფირალივი დაპირდა შუამდგომლობას გამოფენის კომიტეტის წინაშე ადგილის ფასის დაკლებისა და თვით ადგილის გაფართოვების შესახებ. კრებამ გადაწყვიტა აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რამდენი ადგილი დასჭირდება ხელოსნებს თავის ექსპონატებისათვის. სხვათა შორის ბ-მა ფირალივი განაცხადა, რომ გამოფენის დროს განზრახულია მოიწვიონ ხელოსანთა კრება, რომელზედაც აღძრულ იქნება საკითხები კავკასიელ ხელოსანთა საქიროების გამო. კრებამ დაადგინა — ზემოდ აღნიშნულ კომისიას მიანდოს სხვა-და-სხვა საკითხების აღნიშნა მომავალ კრებაზე განსახილველად. („ცნ. ფურ.“)

\* \* 30 მაისს ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ქალაქის ლომბარდის ამგის შუამდგომლობის თანახმად, გადასდოს მე-III საობლიგაციო სესხის განაღდებიდგან შემოსულ თანხიდგან 10,000 მან. ლომბარდის თანხის გასაძლიერებლად.

\* \* ტფილისის ტელეფონიდგან 1900 წელს ხაზინას შემოსეულია სულ 59,325 მან.

\* \* ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას წარსულ 1900 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 417,052 მან., ხოლო ხარჯი 166,945 მან.

\* \* 30 მაისს, შავალის სადგურსა და კარაკის შორის მე-130 ვერსზედ მიწის ზევი გადმოვარდილა. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულ იქმნა.

\* \* 30 მაისს მე-404 ვერსზედ (სადგურ ტაუხსა და კოვლიარს შორის) დამით მატარებლის №-170 ორთქლმავალი და მ ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, დაშვდა ერთი უბილეთო მგზავრი ვასლი პერშინი. გზა გაფუჭებულია.

## დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

პანკინი (თასეთის მხრს). ჰანკისის ხეობაზედ, ს. ჯოფელის მახლობლად, ალაზნის პირად, მდებარეობს ერთი ადგილი, რომელიც ასე 60 დესეტინამდე იქმნება. თუშები გაიძახიან — ეს ადგილი მთავრობამ ჩვენ მოგვცა, რადგანაც მთაში მიმავლობის დროს ცხვარძროხას ამ ადგილას დასვენება სჭირდება, ხოლო ადგილობრივი სატყეო მთავრობას ამტკიცებს, რომ ადმოსფერეთის მხარეს და ალაზნისკენ მართლა თუშებისა, მაგრამ ტყის მხარეს, დასავლეთისკენ სახელმწიფოა, რადგანაც გეგმაში ასეა ნაჩვენები და ასეც უნდა ფიქვით, რადგანაც იმ დროს, რადე-

საც ეს ადგილი თუშებისათვის დაკითხათ, დასაჯუთას მხარე, — თუშებსაც სახელმწიფოდ მსხველქმენ, მაშინ გაუგადი და ბიჭუჭი ტყე და ტყე უფროა და ტყე-კი თქვენთვის საჭირო არ იქნებოდა. ამ აზრს სხვანი და თითონ თუშებიც ამტკიცებენ. მაგრამ რომელია ამათში მართალი, თუშები თუ მთავრობა, ამის შესახებ საბოლოოდ ჯერ არ გარდაწყვიტია-რა და სწავლი ჯოფელელები-კი უდასაშუალოდ შუაში იტყვი-ტებიან.

საქმე აი რამა: შარშან ადგილობრივმა ტყის უფროსმა ჯოფელეებს ამ ადგილში რამდენისამე დღეურის მოხვნის ნება-რთვა მისცა. ჯოფელეებმაც მოხვნეს და დათესეს. მაგრამ უნებო მოვიდა, რომ შტრის თვალს არ ენახებოდა! სე რომ ამ უნების იმდით ზოგმა ჯოფელეებმა საკმარისი სიმინდი-კი ადარ მოხნა, ზურა შეუფოთა. უნებო რომ უგავილში შევიდა, ვინათ სამიწამდე შეიარაღებული ცხენოსანი თუში შეერი-ლა და ბაიარდითა და უკან აუარებელის ცხვრის ფარებით უნებს გადასაჯით მოკლენ და ისე გახადეს, რომ მინდორს ნუახობი-კი ადარ ეტეობდა. ბუგრს ესეკენ ჯოფელეები, — ნუ გვეუბნეთ, ლუგმა ზურს ნუ გვეწვეტავთ, ან-და თქვენთვის შინც მომკეთ და ეგრე-კი ნუ გაახრებთ, მაგრამ სწავლებმა დედისა და ცოდის უნატიოდ ხსენების მეტი იმთავან ვერა მიიღეს-რა. შესამე დღეს რომ ადგილობრივი ბოქაუელი მოვიდა საქმის გამოსაძიებლად და მინდორი დაიარა, კითხულობდა ახა ნუახობი რომელია, ისე იყო მძლე-კილი იქაურობა. მაშინვე ოქმი შეაქნა, მაგრამ ოქმი უქმათ დაჩხა. შემდეგ სასამართლოში შეიტანეს საჩივარი. შესასამართლომ თუშებს 64 თუშან-ნახევარის კარდასა დააკისრა, მაგრამ ახლა ოქმის სასამართლოში განუსაჩივრებათ საქმე და დემონს უქმის, იქიდგან რადისდა ედირსება სასამართლო ჯოფელეებს! ეს არაფერი, ვითომ სიზმარი უოფიდა! მაგრამ ურავ, დემონს ნუ ფიცავ და არა დემონსინო! — რა ჰქნას, რომ არ დაითვიცოს, რცა საქმე უქმის. ჯოფელეების საქმეც ისრეა: გაჭირვებამ შარშანდელი უბედურება და ზარალი სიზმრათ მოახგნა და ტყის უფროსის-გან წრეულაც ადღეს ამ ადგილში მოსახნავდ ბიჭუჭი. ჭოო, ვთქვამთ ჯოფელეებს უჭრთ, მაგრამ ტყის უფროსის რადა გაჭირვება ადგია, რომ ამისათვის სადავიდარბო ადგილზედ ბიჭუჭის აძლევს?

ერთს მშენიერს დღეს წასულან ეს ჩვენი ჯოფელეები და არხინად თურმე ჰხენენ რაი სპა რვა-რვა უდღიანი გუთხობა. მაისის 18 ცაიკეს თურმე ეს ამბავი თუშებმა და ახ-ჰა, ვინ წინა და ვინ უკან. რომცამდე შეიარაღებული ცხენოსანი თავს დაეცნენ სწავლებსა და შტრედოთ გულები დაუხეთქეს; გუთხინს მერხეები და მფრთხალები გამოიუხრტნენ და ჰგადა დაუშინეს თუშებსა, რომელთაც ჰქათვე უხასუხეს. აქ შუაში ჩუდგნენ ორიოდე უცხო ქისტი კაცი და დედაკაცი, რომლებიც ხმურება-ფიარდებულ თურმე მოგვიდნენ, — უქნაეს მდლა ქუდები და ჩიქილები და, რკვარც იყო დასაშინიეს, მაგრამ თუშებმა წართვეს ხარბი ჭ გუთხები თავისის გამარო-ლობითა და სულ დაატუსადეს. ჯოფელეებმაც მეტი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და დაბრუნდნენ გულ-დაწყვიტელები. მაგრამ ან-კი რას იხამდნენ, რადესაც ჯოფელეში სამოცი სული არ იქნება ძაღვებიანად? სიმორის მიუხედა-



ადგილადარგვა ბოქაუღმა ბანის  
პარტოვმა მაშინვე ჩაიხრება გამაგზავ-  
ს, რომ უბედურება არა მომხდარიყო-  
რა, გვამ ამ დროს უკვე დაშლინებულნი  
ყვნენ. მეორე დღეს თვით ბოქაუღიც  
შეიშინა, თუშის დატუსაღებულა გუთ-  
სები და ხარები ჩამოართო და პარტო-  
ვის ჩაახანა; შემდეგ ხანა თვითონ მო-  
ხსნული ადგილიც, საქმის ვითარება გამო-  
ძიდა, რაში დაწინაურებულია მისი გარდა-  
ცემა რა შედეგი მოჰყვება ამა, ჯერ  
ვერ მოვახსენებთ, თუშის ადრე და მალე  
ამ საქმის ასრულ თუ ისრე გარდაწყვეტა  
არავე მსახრისთვისაა, — თუშისათვისა-  
ცა და ჯოჯოხეთისათვისაც — სასარ-  
გებლო და აუცილებელია, რადგან ამ  
დავადარბამ ერთი უკვე გამოასაღმა წუთის  
სიფიქსს და სხვებისც იტყვი მოკლათ.

ქისტო ჩობანი

# რუსეთი

გზათა სამინისტროსთან შემდგა-  
რა განსაკუთრებული კომისია აღ-  
გილობრივ რკინის გზების გამგეო-  
ბათა ახალ შტატების შესამუშავებ-  
ლად. ეს შტატები შემუშავებულ  
იქნება 1902 წლის 1 იანვრისათვის.  
პროექტს მაშინვე შეიტანენ  
სახელმწიფო საბჭოში განსახილვე-  
ლად.

— მოსკოვის ქალაქის მოურავს  
შეამდგომლობა აღუძრავს მოსკოვ-  
ში „სრულიად რუსეთის ქველმოძ-  
ქმელთა კრების“ მოწვევის შესახებ.

— პეტერბურგის სასულიერო აკა-  
დემიაში წლებულს 50 კაცი ათავებს  
გვლოს; მათ შორის 6 მღვდელია.

— ჩინელებთან ომის დროს 1900  
წლის მაისიდან 1901 წლის 15  
პრილამდე ჩრდილოეთ მანჯურიაში  
მოუკლავთ რუსეთის ჯარიდან სულ  
12 ოფიცერი და 221 ჯარისკაცი,  
დაუჭრიათ 29 ოფიცერი, 528 ჯა-  
რისკაცი და 47 ჯარისკაცი უკ-  
ვლოდ დაკარგულა; სამხრეთ-მან-  
ჯურისა და ჰეილიანში მოუკლავთ  
8 ოფიცერი და 179 ჯარისკაცი,  
დაუჭრიათ 48 ოფიცერი, 4 მკურ-  
ნალი და 921 ჯარისკაცი და და-  
კარგულა 9.

— გზათა სამინისტროში წარუ-  
დგენიან პროექტი ახლის ვაგონე-  
ბისა, რომლებიც ისე იქმნებიან მო-  
წყობილი, რომ ამ ვაგონებით გა-  
დასაყვან საქონელს შიგვე ექმნება  
საჭირო საქმელი და წყალი.

— უმაღლესის ბრძანებით მომა-  
ვალ წლიდან აღმოსავლეთის ენა-  
თა ლაზარევის ინსტიტუტის მე-3  
სპეციალურ კლასებში შემოღებულ  
იქნება ახალი საგანი — მუსულმანთა  
უფლების სწავლება.

— ამას წინაღ სარატოვში იდგი-  
ლობრივ სასამართლოს განუხილავს  
ციმბირიდან გამოქცეულის, 50  
წლის კაცის, პეტრე ყარაშვილის  
საქმე. აი რა გამოუტყდადებია სასა-  
მართლოში ყარაშვილს: „მაშა ჩემი  
მდიდარი ტფილისელი მემამულე  
ყო. გარდაიცვალა იგი მაშინ, რო-  
დესაც მე გიმნაზიაში ვსწავლობდი.  
გიმნაზიაში სწავლის დამთავრებისას  
პეტროვო-რაზუმიოვსკის აკადემიაში  
შევედი. სრულ წლოვანობამდე ჩემ  
მამულს განაგებდნენ მზრუნველნი,  
რომელთაც სრულიად განადგურეს  
და დაეალიანეს იგი. ერთმა მოვა-  
ლემ მეორედ წარადგინა თამასუქი.

მე საჩივარი აღდარი ამის გამო,  
ხოლო იმან მალე ქალაქი შეიტა-  
ნა სასამართლოში და სიყალბე შემ-  
წამა. ბოლოს მდებდა, ვითომ მე  
ერთ თამასუქედ იმის მაგიერ ხელი  
მოაქწეროს. დანიშნეს საექსპერტო  
კომისია. ვერაფერი სიყალბე ვერა-  
ნახეს ექსპერტებმა თამასუქში. მა-  
შინ, მომხივანის თხოვნით, მეორე  
კომისია აარჩიეს. ახალ კომისიაში  
მარტო ქართველები არ იყვნენ,  
იყვნენ აგრეთვე რუსები და ერთი  
ნემეცი, რომელთაც სიტყვა არ  
იყო დენე ქართული. ქართულად  
დაწერილ თამასუქის გამოკვლევის  
შემდეგ ქართველმა ექსპერტებმა ვე-  
რაფერი სიყალბე ვერ აღმოაჩინეს.  
სამაგიეროდ რუსებმა და ნემეცმა  
გადაჭრით გამოაცხადეს, რომ თამა-  
სუქი ყალბია. ამის გამო სამარ-  
თალში მიმცეს. ოლქის სასამართ-  
ლომ გამამართლა, მაგრამ ბრალმ-  
დებელის ამანაგი ჩემი შორეული ნა-  
თესავი იყო. ოლქის სასამართლოში  
საქმის განხილვის შემდეგ, ბრალმ-  
დებლის ამანაგმა, ჩემმა ნათესავმა  
მითხრა, პროტესტი შემაქვს, რადგა-  
ნაც მემშინიან ექვი არ შეიტანონ  
ჩემზე, როგორც ნათესავზე, და  
არა სთქვან, შემწეობა აღმოუჩინა-  
ნაო. სამოსამართლო პალატამ, ჩემ-  
და საუბედუროდ, დამნაშავედ მი-  
ცნო და გადამიწყვიტა ყოველისავე  
უფლებათა-უპირატესობის ჩამორთმევა  
და 15 წლით ტაბოლის გუბერნი-  
აში გადასახლება“. შემდეგ, უამბნია  
რა თავისი გაჭირვებული ცხოვრება  
ციმბირში, ყარაშვილს უთქვამს:  
„განთავისუფლების დრო მიახლოვ-  
დებოდა, როდესაც ვაგვიგე, რომ ჩემი  
უფროსი შვილი, უნივერსიტეტის  
სტუდენტი, კლექისაგან მოკვდაო.  
ამ ამბავმა გონება დამიბნია, მთელი  
ქვეყანა შემეძადა, საშინლად მაინ-  
და სამშობლოში დაბრუნება, ნათე-  
სავების ნახვა, ავდექი მეც და წამო-  
ვედიო“. ვადის გასვლამდე ციმბირ-  
იდან წამოსვლისათვის იქმნა ყა-  
რაშვილი სამართალში მიცემული.  
ნათეც მსაჯულთა სასამართლოს, გა-  
ნუხილავს რა ყარაშვილის საქმე,  
მართლად უცვნია იგი და ახალი სას-  
ჯელი აღარ მიუთავსნა. ყარაშვილი  
უქანვე ციმბირში გაგზავნეს, სადაც  
ამა მიმდინარე წლის ოქტომბრამდე  
დარჩება; როდესაც სასჯელის ვადა  
უთავდება.

# უცხოეთი

საზრანბეთი. სახენსიო კასისების  
და მუშათა შესახებ მთავრობის კანონ-  
პროექტის განხილვას დაუბრტატა პა-  
ლატა 22 მაისს შეუდგა. კამათი კო-  
მისიის მამსხენეების გიესის სიტ-  
ყვის შემდეგ დაიწყო. გიესი პირველად  
ამ საგნის ისტორიულ მომდინარეობას  
და მისს დეკლარაციას მდგომარეობას  
შეუბნა სხვა-და-სხვა ქვეყნებში და შემ-  
დეგ განაცხადა, რომ მუშათა დასახე-  
ვად კომისიამ არჩია ისეთი სიტყვა,  
რომელთაც ფიქრი სახენსიო კასისის  
უნდა შესდგეს: თვით მუშებისაგან შე-  
ტანილ ფულითა, მწარმოებელთა ხვედრ  
შესატანიდგანა და სახელმწიფოს მიერ  
ამ საგნისთვის გადადებულ თანხადგან.  
თითოეულს მუშას, 65 წლისხვედ  
ნაკლებს, დეიურ სამუშაოდგან გამოე-  
რიცხება 5 სანტიმი, თუ რომ სამუშა-  
ოში 2 ფრანკზედ ნაკლებს არ იღებს,

10 სანტიმი ამ შემთხვევაში, თუ რომ  
დეიურ სამუშაოს ფასი 2 ფრანკს აღე-  
მატება და 15 ცენტ მაშინ, თუ რომ მუშა  
დეიურად 5 ფრანკზედ მეტს იღებს.  
მასდა შეხედეთვე უნდა შეიტანოს ფუ-  
ლი მწარმოებელთა. ფული სახელმწიფო  
კასისში (Caisse des depots et (on-  
signations) უნდა იქმნას შეტანილი,  
რომელად ამ ფულს სახელმწიფო ან  
ადგილობრივ სახკულებთან ქადადებთ  
ინახავს. 65 წლის შესრულების შემდეგ  
მუშას უფლება ექვება მიიღოს ზენისა  
ამისდა შეხედვით, რამდენიც თითონ  
მას ეკველ-დეიურად შექტონდა კასისში  
და რამდენიც მწარმოებელს შექტონდა  
იმ შემთხვევაში, თუ რომ მუშას შრამა  
ადარ შექტება და 2,000 დეიური  
შესატანი-ვა გარდახდალი ექმნება, უფ-  
ლებს ექვება მთავრობას წაიღუდ 200  
ფრანკი ზენისა მოსთხოვოს და რაც ამ  
ფულს აკლებს, მთავრობამ უნდა დაუ-  
მატოს. მუშებს, რომლებსაც კანონ-  
პროექტის მადებისა და დამტკიცების  
შემდეგ 65 წელაქადი შეუსრულდებათ  
და სახენსიო ფინანს-ვა ჯერ არა ექმ-  
ნათ.რა შეტანილი, ეოველ წაიღუდ  
მხოლოდ 100 ფრანკი მიეცებათ და  
ისიც მხოლოდ მაშინ, თუ რომ დამ-  
ტკიცებენ რითმე, რომ 30 წელაქადი  
უმუშავნათ. ამ აზრით მთავრობა წაი-  
ღუდ 15 მილიონ ფრანკს გაიღებს.  
ასეთივე ზენისა მიეცება აგრეთვე იმ  
მუშებსაც, რომლებიც ჯერ 65 წლისხნი  
არ არიან, მაგრამ აღნიშნული ვადა ზენ-  
ისის მიღებისა მალე შეუსრულდებათ.  
პირველ ხანად მთავრობას მხოლოდ 7  
მილიონი ფრანკი დაქვრდება წაიღუდ,  
მე-18 წელაქადს-ვა ეს ხარჯი  
90.000,000 ფრანკს აღემატება. ამის  
შემდეგ ხარჯი თანდათან იკლებს, რად-  
განც მუშათა და მწარმოებელთა შესა-  
ტანი უკვე იქმნის იმეტებს, რომ  
წაიღუდ 45 მილიონს ფრანკს მიად-  
წევს. კანონ-პროექტი უკვეა მუშებს  
ერთხანად შექტება, როგორც სამრეწვე-  
ლო, ისრე სავაჭრო და სასოფლო-  
სამეურნეო ნაწილისას.

ნგლისი. „Echo de Paris“-ის  
დონდონელი კორესპონდენტი აი რას  
ოუწევს იმ ინგლისელ ჯარის-კაცთა შე-  
სახებ, რომელთაც დარჯობის დროს  
სამხრეთ-აფრიკაში დაწაშულაბა ჩაუდე-  
ნათ და მთავრობას დაუწვია:  
„ინგლისის ერთ-ერთს სახტომრში  
ამ უამად 40 ინგლისელი ჯარის-კაცია  
დახტომრებული, რომელთაც სამხრეთ-  
აფრიკის სამხედრო სასამართლოების  
მიერ შ-დგან 10 წლამდე დახტომრება  
აქვთ გარდაწყვეტილი იმის გამო, რომ  
დაჯობის დროს დასძინებიათ.

ქვეი არ არის, დარჯობის დროს  
ძიად დიდი დაწაშულობა, მაგრამ მო-  
სამართლებს არ უნდა დაჭვიწებდათ  
ის, რომ ჯერ ერთი, ჯარის-კაცები სა-  
შინლად დადღინი იყვნენ და მეორეც,  
ბევრი მათგანი მხოლოდ შემთხვევითი  
ჯარის-კაცია, რომელნიც სამხედრო წე-  
სებს ჯერ ვერ შესწევნიან და ვერ შეუ-  
თავსებიათ. აღმანის ფიზიკურს ძალა-  
საც, რომ თავისი სახედარი აქვს, ზემოდ  
დასახლებულ დასჯილთა შორის, სხვათა  
შორის, ურევია ერთი მდიდარა ახალ-  
გაზრდა თავისუფალი მეომარი, რომელ-  
საც ადრე უთუოდ არავითარი წარმოდგე-  
ნა არ ექმნებოდა, თუ სამხრეთს რა  
გაჭირვება მოელოდა. ამ ახალგაზრდას  
რვა წლით დახტომრება აქვს გარდაწყვე-  
ტილი.  
ინგლისის სასოფლო-კანსაკუთრე-  
ბით ადგილებუდა იმის გამო, დას-  
ჯილთა შემდეგ ერთობ არა-დაამარხულად

და სასტავად თურმე მოგუწერეს: ასე,  
მაგალითად, კახის ახალშენიდან ინგ-  
ლისში დასჯილნი ჯარის-კაცნი სხვა-და-  
სხვა დამნაშავეებთან — კაცის მგვლელებ-  
თანა და ჭერდებთან ერთად გაუგზავნიათ  
და ერთმანერთზედ გადაუხამთ. დამტომ-  
რების ვადა რომ გაუვთა, ეველა ამათ  
„ეფეთელს ზანდარტებს“ მისცემენ და  
სიკვდილამდე მთლიანის მხედველობის  
ქვეშ იქმნებიან. ექვი არ არის, ახლა  
რომ ზანდარტის სხედების დრო  
ეოს, მთავრობას დაეკითხებოდნენ, თუ  
ასეთი სასტავობა და უდაამარხობა რასა  
ჭინაწავსო.

## შურნალ-გაზეთიანი

ამოკრებილი ამბები

ვინ არ იცის, მაიმუნები რა მიმბაძველი  
ცხოველები არიან? აი, ერთი ფრანგი  
მოგზაური რას მოგვითხრობს მაიმუნთა ამ  
ჩვეულების შესახებ. მოგზაური მღვდელ კა-  
ბანოსთან ერთად ანტილის კუნძულებზედ  
ყოფილა. ერთხელ ტყეში წასულან და მზე-  
ლი ბროვა მაიმუნებისა უნახავთ. ამავე  
დროს ტყეში გაუვლიათ დატვირთულ მუ-  
შებს. მაიმუნები შოი-ახლო მილიოდნენ  
და ამ მუშებს ჰბაძვდნენ თურმე; ზოგს  
ქვა გაუღო მხარზედ. ზოგს კეტი და ზოგს  
კიდევ რა. ნადირობის დროს მოგზაურს ერთ-  
თი დეალი მაიმუნი მოუკლავს. მაიმუნს  
ბავშვი ჰყოლია, რომელიც მოკლულ დე-  
დას ზურზედ დასჯდომია და გაქცევას  
არც-კი ჰფიქრობდა თურმე. კაბანოს აუყ-  
ვანია ეს პატარა მაიმუნი და თან მარტი-  
ნიკში წაუყვანია. ისე მისხვევია მაიმუნი  
მღვდელს, რომ ერთს წუთსაც-კი აღარა  
ჰშორდებოდა თურმე. ყველგან, სადაც-კი  
უნდა წასთელიყო, მაიმუნი უმეტველად თან  
ახლდა. როდესაც მღვდელი ეკლესიაში  
დაპირებდა წასვლას მაიმუნს მგზარა ამწ-  
ყვდევდა, რომ ისიც ეკლესიაში არ შესუ-  
ლიყო. ერთხელ მაიმუნს მაინც მოუხერხე-  
ბია გაპარვა და ეკლესიაში შესვლა. იქიმ  
კათედრის უკან დამალულა, საიდგანაც  
მღვდელი ქადაგებას ამბობს ხოლმე. რო-  
დესაც კაბანოს ქადაგება დაუწყვია, მაიმუ-  
ნი გამოძვრალა სამალავიდან, აცოცე-  
ბულა უკანდგან კათედრაზედ და ზემოდ,  
გაღმხურულზედ წამოსკუბებულა. მღვდე-  
ლი გაცხარებული ქადაგებას ამბობდა თუ-  
რმე, ხელებს იშვერდა ხან წინ, ხან ზე-  
მოდ, თავს იქნევდა, და ზემოდ მაიმუნიც  
ყველა ამას საშავალითად ასრულებდა.  
ეკლესიაში მყოფთ სიცილი ვერ შეუკავე-  
ბიათ. მღვდელს ძალიან სწყენია ასეთი ყო-  
ფა-ქცევა საზოგადოებისა და დარიგება და-  
უწყვია, მაგრამ საზოგადოება უფრო და  
უფრო იცინოდა. მაშინ გაჯავრებულს მკა-  
დაგებელს საყვედური გამოუცხადებია და  
ამასთან უფრო მხნედ დაუწყვია ხელებისა  
და თავისს ქნევა. არც ცელქი მაიმუნი  
ჩამორჩენია მქადაგებელს; ისიც პრანტვა-  
გრებასა და ხელების ქნევას უფრო მხნედ  
შესდგამია. ეკლესიაში დაწინარების ნაც-  
ვლად საერთო ხარხარი ვაისმა. თურმე  
ბოლოს ერთ კაცს უთქვამს მღვდლის-  
თვის, ზევით შეხედვო, შეუხედნია და  
გავივრებულ მქადაგებელს თვით დაუწყვია  
სიცილი.

\*\*\*

ერთ ამერიკულ შურნალში საყურადღებო  
წერილი დაბეჭდილი ამერიკელ ქალ-გამო-  
მონათა შესახებ. ავტორი იმ ქალებს ეხება,  
რომელნიც ახალ მანქანებს ან რამ მოწ-  
ყობილებებს იგონებენ. ამერიკელმა ქალებ-  
მა ამ საქმეს სულ ბოლოს დროს მიჰყვეს  
თურმე ხელი. წინაღ იმ სიაში, სადაც ახალ  
გამომგონათა გეარებს აცხადებენ, ქალის  
ორ-სამ გვარს ძლივს შეხედვებოლით თუ-  
რმე, ეხლა კი ასეთი სიბიძე აჭრებულა  
ქალების სახელებით. რას არ იგონებენ  
თურმე ქალები? ზოგი ბავშვების ახალ სა-  
თამაშოს იგონებს, ზოგი ოჯახში გამოსა-  
ყენებელ ნივთს, ზოგი სარეცხავ მანქანებს,  
ჭურჭელს, კარავს, საფოსტო ყუთებს, კლი-  
ტე-გასაღებებს, მატულის საპარსავებს, ცხე-  
ნის ნალექს და მრავალ სხვას. რაც შეე-  
ხება სარგებლობას, ბედნი ამ შემთხვევაში  
ყველას ერთნაირად არა სწყალობს. ზოგ-  
ჯერ ახლად გამოგონილი მანქანა და სხვა

რამ, რომელსაც დიდი ცოდნა, დაკვირვება  
მეცადინეობა და საზოგადოებრივი განს-  
მეონს გროშასაც არ აქვს, ზოგიერთი  
უბრალო რამ სწავლიან უნათებად. სხვებ-  
ერთ ქალს, რომელსაც მოხერხებული ქა-  
ლადის ტომრები გამოუგონია. ეს თავისი  
გამომგონება 40,000 მანეთად გაუყიდნია.  
მეორეს ხელთათმანების შესაკრავი გამოუ-  
გონია და ეს მცირე რამ წელიწადში 10,000  
მანეთს შემოსავალს აძლევს თურმე.  
\*\*\*

მკითხველებმა უკვე უწყინ, რომ ამას  
წინაღ იტალიაში გარდაიცვალა შესანიშნა-  
ვი მემუსიკე ვერდი. ვერდის დიდძალი ქო-  
ნება დარჩა, მემკვიდრე-კი არავინ. როგორც  
ეხლა ათინურ გახეთქებს შეუტყვიათ, ერთ  
პალადად გლენს, გვარად ვერდის, გამო-  
უცხადებია, რომ მე ვარ ერთად-ერთი ნა-  
თესავი და, მაშასადამე, მემკვიდრე, ვერდი-  
საო. მილანის სასამართლოში ამ გლენს  
უკვე შეუტანია ქალაქი და საბუთებიც  
წარუდგენია. ამ გლენს-ვერდის არასოდეს არ  
უნახავს თურმე მემუსიკე ვერდი.

## საისტორიო და საბიბლიოგრა- ფიო წერილები.

(წერილი: ოე)

ტყავზედ ნუსხურად ნაწერი წიგ-  
ნი № 40 (in octo, ფურც. 332,  
ბოლო ფურც. დაკარგულა) არის  
სახელმძღვანელოსებურად შედგენი-  
ლი ისტორია ახლის აღთქმისა,  
უმთავრესად კი ამ წიგნში წარმო-  
დგენილია ცხოვრება და მოქალაქო-  
ბა ღვთისმშობლის მარიამისა. წიგ-  
ნის პირველი ფურცლის შიგნით  
მხარეს გამოასახულია, სვეტებ ქვე-  
შე მდგომარე მოციქულნი — ლუკა  
და იოვანე. ლუკას უჭერია ღია  
სახარება, რომლის ფურცლებზედ  
ასომთავრულით აწერია; „რამეთუ  
მრავალთა ველ.“

შესავალი (გვ. 1): ქებაა და დი-  
დება, შესხმაა და გალობა, ეოვლად  
წმიდისა ოჯახწმელისა, და უმეტესათ  
კოვრთხეიულისა, დეოფოფისა ჩუენისა  
ღუთის მშობლისა, და მარადის ქაღწუ-  
ლისა მარამისა, და ოჯაგება ოჯაწო-  
ისა მისისა, და სახატრელისა მოქალაქო-  
ბისა მისისა, შობათგან მიცვალებამ-  
დე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენის-  
სა, მქსამეს მეურ, ფილასოფოსისა და  
აღმსარებელისა; კირიელისა:

შენიშნ. შესასწავლებელი ნიშნები თვით  
გადამწერის მიერ დასმულია.  
მთარგმნელი (ფურც. 282): ქრის-  
ტე მუჟეფო დიდებისაო, მეხებთათ  
მშობელისა შენისა წმიდისა ქაღწულისა  
მარამისათა შეიწავლე და აცხვანე სუ-  
ლითა გასხაკი ეფთაიმე, რომელმან  
წმინდას ესე წიგნი — ცხოვრება წმი-  
დისა ღუთის მშობლისა ბერძულისაგან  
ქართულად თარგმნა მთას წმიდისა ათო-  
ნას.

ამას მოჰყვება იმავე ხელით გა-  
დაწერილი ნათქვამი: „თქმული ნე-  
ტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომი-  
დელ მთავრ კისეპოპოსისა ცხოველს  
მეოფელისა ჟურნეუმისა და დაფუცი-  
სათვის აფუფისა ჩუენისა იუსო ქრის-  
ტეს, რომელი იკითხვების დიდსა ზა-  
რასკევის.

ამ წერილის ბოლო ასე სრულ-  
დება (ფურც. 331):

ქრისტესმან დიდებულ ყავს სული მა-  
მისა ეფთაჰესი რომელმან ესე საკითხ-  
ვა გვითარგმნა.  
—  
დიდებასა სამებასა წმიდისა. დიდებასა  
დმეტესს ეოვლასთას. დიდებასა მამასა  
და ძესა და წმიდისა სულსა. ერთარსე-  
ბასა და ერთსა ღუთასას. რომლისა  
დიდებათა და ძლიერებითა საყსე არიან  
ცანი და ქუენადა. რომლისა მიერ ეო-

ვერსი და არსისაგან შეიქმნეს. ხელუფლები და უნიფორმი. და უბერან და მხარეთს და კანაგებს სადმართისა ძალის წამის უფროსა. ესე არს დემოკრატის მადალი და დიდებული, რომლის დიდებულა ადამადლებს ჩაგვას ბუნებასა დასადებულთასა. რომელი დიდებულ არს საუკუნითიან უკუნისადე ამინ.

დიდის დუთისა და მცნობისა ჩუენისა აქსო ქრისტეს მიერ არს უფლები ნიჭი სადმართად და სრული, ზეგარდმო მამისაგან ნათლის მისწავთა სულის წმიდისათა, რომელი ითხოვს სასოებით და მოიღებენ სარწმუნოებით სადებულად სმების წმიდისა, რომლის აურაცხელ არს წყალობად და მისწოთის ვიდრე კანონთაგან და მცნობათა სათნოებლად (?). ამისთვის მეტა უნარჩვესი წმიდათა შორის მწყესთა და უკანონესი ბენეფიქტე დიან ვიქმენ ადწერებულ წმიდას ამას წიგნსა—ცხოვრებას უფლად წმიდისა და უბოძისა დედადულისა ჩუენისა დუთისა მშობელისა მარადის ქაღწულისა მარადისისა.

აქ წმიდანი დუთისანი, ვინცა აღსწერდეთ და აღმოაჩინებდეთ და ვინცა თანაგა მოიწიოს წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი, მომისწენთ წმიდას ლოცვას თქვენსა უნდოდ ესე და უდიდისი ფრთად ცხადვით ბუნებრივად, რამეთუ უკანადად და უღებულ წარვინადე ცხოვრება ჩემი და თქვენ მიერ ვეძიებ შეწვევას.

რამეთუ აქ სადაც მიწისაგანთა მიწას... (დასაშუალო დაკარგულად)

ბოლოს ტყვის ნაჭერზე მერმენდელის ხელით: „რომელმან ესე წიგნი მოიკო, გერმანოზს ელმელიქის ძესა შეუნდეს დემოკრატს. ამინ“.

წიგნის თავს მიწერილია მერმენდელის ხელით:

„სულს ამის წიგნისა კანონისა ადგმულს იასებს სურუნისძეს შეუნდეს დემოკრატს. ჩუენთა მამისა გოგნისა სურუნისძეს შნეს და შეუდეს მისსა მხეკაძის შს და. ძეთა მათა ხუხუბას. ლაღას და ნათესას შს და. ან ან ან კირაქულისან. ვინცა შენდაბად ბრძანთ. თქვენცა შეგინდეს და.“

(დასასრული იქნება)

# დეტემა

(რუსეთის დემოკრატთა საგანგებო საბჭოს მიერ)

29 მაისი.  
**ლონდონი.** კიტეხერი პრეტორი დიან იუქება, რომ რაზმის უფროსი რუსი ბურჟუა დაკნებდა პიტერსბურგში თავის რაზმითურთ; ასი შეადრებულა ბური უკვე შემოვიდა ქაღაქში, დასარჩენიან მოჭეუბიან.

**ბანშარი.** რადგანც საფრანგეთი სრულიად დაკმაყოფილებულ იქნა, ამისათვის რეუადიგ წვიდა ტანკედან. დღეს მარტოას საელჩო აბდულ-კერიმ ბენსლიმანის მეთაურობით პარიჟში მიემგზავრება.

**კონსტანტინოპოლი.** დღეს გამოქვეყნებულ იქნა სულთანის ირადე, რომლითაც ახლად არჩეულ იაჰიამე მე-III მსოფლიო პარტიკულარ იქნა დატკეობული.

**პარიჟი.** გაზეთ „Figaro“-ს აქციონერთა საზოგადო კრებამ დაადგინა, ჩამოერთვას პერდუეს და დე-როდეს „Figaro“-ს მთავარ რედაქტორთა თანამდებობა.

**ბერლინი.** „Norddeutsche Zeitung“-ი იუქება, რომ იმპერატორმა ფრანკ-იოსებმა ვალდებულად ჩინეთადგან წამოსვლის გამო დაეპაა გაუგზავნა, რომელშიაც მხურვალე მადლობას უცხადებს მას ავსტრიის რაზმისადმი მხრუნველობისათვისა.

**ბაბაბა.** სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის საელჩოს მდივანმა ბუშტენმა აუწუა აქაურ გაზეთების წარმომადგენელთა კრუგერის სახელთ, რომ კრუგერმა არაფერი იცის „Standard“-ში მოხსენებულ ბურების წინამძღოლთა და კიტჩენერ შორის მალაპარაკების შესახებ, და თუ ასეთი მალაპარაკება მართლაც დაწეო, კრუგერი იმაში არ ურევაოა.

**ტიანძინი.** აქაური სავაჭრო პალატა გადაწყვიტელ პრეტესტს აცხადებს ტიანძინის ჩინეთის მთავრობისათვის გარდაცემასად.

**უანძი.** აღმირაღმა სეიმურმა, რომელიც გუშინ აქაურ „China Association“-ის სადილზე დაესწრო, სიტყვა წარმოთქვა და აღნიშნა შანჯის მნიშვნელობა და ამ ქაღაქში დიდის სამხედრო ძალის სჭარბობა, რაცა უცხო ერთ უბრატესობას აძლეჯს ჩინელთა თავადში.

**ლონდონი.** როგორც გაზ. „Globe“-ს შანჯიდან დაეპოთ ატობანებენ, აღმირაღს სეიმურს „China Association“-ის სადილზე უთქვამს კიდევ, რომ დიდს ბრიტანის სამი ძლიერი მეტოქე ჰყავს: რუსეთი, გერმანია და შეერთებული შტატები. გერმანია ინგლისს დიდს მეტოქეობას უწევს, რაც მხრავ, როგორც სავაჭრო ინტერესების, ისე საზღვაოსნო ძლიერების მხრავც და დიდმა ბრიტანიამ ერთს მშეგნიერს დღეს ამას ანგარიში უნდა გაუწიოს. შეერთებული შტატები უძლიერესი მეტოქეა ინგლისის სავაჭრო საქმეში, მხოლოდ ეს მეტოქეობას არ ეწინააღმდეგება ინგლისის პოლიტიკას „და კარისას“, რომელიც სავაჭრო თანასწორობის ნადაგზედ ეგვლას თანაბრად ეტეება.

**პარიჟი.** კვირას, დამე 6 ბურმა, რომელიც პრეტორის დახურების დროს ნეიტრალიტეტის დაცვა დაიფიცეს, მოინდომეს პრეტორიდან განარგა და ბურების რაზმთან შეერთება. დარჯმა მათ დაუძას, მაგრამ ისინი მაინც განზიდნენ. ერთმა მათგანმა ესრფად და ერთი ჯარისკაცი დასჭრა, სამი გაიქცა, ხოლო დანარჩენი ორი შეიპურეს. გუშინ ისინი წარუდგნენ სამხედრო სასამართლოს, რომელმაც მათ სიკვდილით დასჯა, ტუვით დახვრეტა, გარდაუწვევია. ეს განაწენა არ შეუსრულეს მხოლოდ ერთს მცირე-წლოვანობისა გამო; დანარჩენი ორი ტუვით დახვრეტეს.

30 მაისი.  
**პარიჟი.** ელჩთა მომავალს კრებაზედ ამერიკის ელჩი როკილი წინადადებებს შეიტანს იმის შესახებ, რომ საზღაურის საქმე წარედგინოს განსახილველად გააგის სამედიტორო სასამართლოს. ელჩთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგია; ელჩნი პირიქით იმ აზრისანი არიან, რომ ამ 10 დღის განსავლობაში ყველაფერი რიგზედ მოეწყობაო.

**პარიჟი.** როგორც ხელში უჭირავს თარგმანი ბრძანებისა, რომლიც ანაქარად სჩანს, რომ პეკინის აღკრძალულ ნაწილში წიგნთ-საცავი იმპერატორის სახელეულობის ბრძანებით დამწვარა და არა ელვისაგან გალდი იყო.

ნებით დამწვარა და არა ელვისაგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია ყველა არხივის დაწვა.

**პარიჟი.** აქციონერთა საზოგადო კრებამ პრესტი დანიშნა „Figaro“-ს დროებით აღმინისტრატორად. სალამოს იგი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, მაგრამ პერივიე წინააღმდეგი გაუხდა და განაცხადა, რომ მხოლოდ ძალას დავემორჩილებო. პრესტი ბრძანება გაცაყველაფერი დაეგუდათ, მაგრამ „Ei-garo“-ს ნომერი მაინც გამოვიდა დილით, როგორც ყოველთვის.

**ოღესა.** 30 მაისისათვის ოღესის სასამართლოში დანიშნულა განსახილველად საქმე პეტრე მილიშვილისა, რომელსაც აზნაურის ვოლოდკოვიჩისა და გირჩის მოკვლა ბრალდება. მოწვეულია ასამდის მოწამესაქმის განხილვა 2 დღეს გაგრძელდება.

31 მაისი.

**პარიჟი.** რაკვილის ის წინადადება, რომ საქმე სამხედრო ჯილდოს შესახებ გააგის სამედიტორო სასამართლოს გადაეცეს, მთლად ამ საქმის გადაწყვეტას თხოულობს. შეცდომით პეტიკობენ, სახელმწიფონი ერთმანეთ შორის შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ჩინეთს 450 მილიონი ტაელი გამოართვან; ნამდვილად-კი არ არის ისეთი ოფიციალური ცნობები, საიდანაც სჩანდეს, რომ სახელმწიფონი ან რამდენიმე მათგანი ნამდვილად ფორმალურად შეთანხმებულიყვენ ამ საქმის გამო. თუმცა ჩინეთი დასთანხმდა 450 მილიონ მანეთის გარდახდას, მაგრამ ეს იმავე შეცდომის გამო მოხდა; პეტიკობდნენ აგრეთვე, რომ ელჩები წინდაწინვე ამ საქმის გამო ფორმალურად შეთანხმდნენ.

**პარიჟი.** იმპერატორი აქ მოვიდა. ბურგომისტრი ნემეცურ და ჩეხურ ენაზედ წარმოთქმულ სიტყვით მიეგება; იმპერატორმა უბასუხა, რომ სტახტო ქალაქს პრავას უყურადღებოდ არ დაეტოვებ და არასოდეს არ დაევიწყებ. როგორ განვითარდა და ამდღელა მშვენიერი პრავა მცხოვრებთა მეცადინეობის წყალობითაო. შემდეგ იმპერატორმა ნემეცურ ენაზედ მადლობა გამოაცხადა გულითად მიგებებისთვის და სიტყვა: იმედი მაქვს, რომ მაგგვარივე გრძობით გატაცებული არიან პრავისა და მთელის ჩეხიის მცხოვრებნიო. იმპერატორმა უსურვა ქალაქს ეკონომიურად და კულტურულად წარმატება, იმპერატორს ყველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

**კონსტანტინოპოლი.** სულთანმა მიიღო რუსეთის ელჩი ზინოვიევი.

**პარიჟი.** ნიციონალისტს პარფეს რომელმაც 13 მაისს ვალდეკ-რუსსონ ფორთოხალი ესროლა აქ, ორის თვით საპრობილემში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

**პარიჟი.** სენის დეპარტამენტის საგვერალო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოკილისტი ვებერი; იმისი მეტოქე ნაციონალისტი

**პარიჟი.** „Figaro“-ს აქციონერთა საზოგადო კრებამ, დაადგინა რა, რომ თანამდებობა ჩამოართვას დე-როდესა და პერივიეს, დროების გაზთვის აღმინისტრატორობა მიანდლო ზედამხედველ საბჭოს თავმჯდომარეს პრესტას, პერივიემ წინააღმდეგობა გაუწია მომრიგებელ მოსამართლეს და პოლიციის კომისარს და თავისი გაიყვანა, რომ გაზეთი იმის გვარ მოწერილი გამოვიდეს. სასამართლოს პირველ დაწყებით გადაყვეტილებაში ნათქვამია, რომ პერივიეს გვარი გაზეთზედ უნდა ეწეროს, ვიდრე საკომერციო სასამართლო 13 ივნისს განაჩენს არ დაადგენსო.

**ბერლინი.** დილის გაზეთები იუქებენ, რომ იმპერატორი ელველში საწმებათს საღამოთი სადარბაზოდ იყო სასტუმროში რუსეთის ელჩად ნამყოფ გრაფ შუვალოვთან. იმპერატორმა გრაფთან ნახევიარი საათი მეტი დაჰყო. გრაფი სადილზედ წავიდა იმპერიის კანცლერთან, სადაც რუსეთის ელჩი გრაფი ოსტენ-საქენი იყო.

Открыта подписка на еженедельный иллюстрированный политический литературный и общественный журнал

# „АРГОНАВТЪ“

съ ежедневными прибавлениями, издаваемый въ г. Тифлисъ.

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ номерѣ газеты, который выйдетъ 20-го мая.  
Завѣдывающийъ отдѣлами: Вейденбаумъ Е. Г.—кавказовѣдѣніе и библіографія. Иностранецъ—иностранная политика. Иоаннісіани А. А.—экономическій и торгово-промышленный. А.—въ—внутреннее обозрѣніе. Потто В. А.—военная исторія. Инженеръ Раголеръ Ю. Я.—научно-технический. Тхоржевская А. А.—литература и искусство. Хачатуровъ И. Г.—провинціальная жизнь, хроника и судебный отдѣлъ. Горн-инж.—Ченгеры М. И.—горно-промышленный. Бюхнеръ—художественный. Фельдтопы П. А.—Опочинина. Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. И., Борманъ К. Г., Геденновъ А. Г., Иоаннісіани Р. А., Иваненко В. Н., Кишшадзе А. Ф., Кишшадзе П. Ф., Кузминъ А. И., Лействъ Артуръ, Опочининъ П. А., Пахомовъ В. Н., профес. Робахъ, Тамашевъ М. И., Францева В. А., кн. Черезовъ В. Н., Чимшикіанъ А. С.

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одессѣ, Баку, Батумѣ, Кутаисѣ, Пятигорскѣ, Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персіи и Турціи. Письма изъ Берлина—преф. Робаха и изъ Парижа—Р. А. Иоаннісіани.

**ЖУРНАЛЪ** будетъ выходить каждое воскресенье въ размѣрѣ 16 стр. in 4, съ портретами, видами, рисунками и иллюстраціями по текущимъ событіямъ.

Подписная цѣна: по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногороднихъ 5 руб., на три мѣс.—3 руб. и два мѣс.—2 руб.  
Плата за объявленія въ еженедѣльникѣ за строку петица: на 1-ой стр. 20 коп., на остальныхъ 10 коп., въ еженедѣльникѣ: на 1-й стр. 10 коп. и на остальныхъ 5 коп.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ редакціи и конторѣ (головинскій № 14), въ „Центральной книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекели и въ газетномъ его агентствѣ (уголъ Барятинской и Головинского проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекели.  
Редакціи и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе конторы: Газетное агентство Л. Б. Хиддекели (уголъ Барятинской и Головинскаго проспекта).

Съ 1 іюля будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, туземныхъ и иностранныхъ газетъ и журналовъ при редакціи „АРГОНАВТА“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названій газетъ, журналовъ, научныхъ изданій, романы, повѣсти и рассказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ бесплатнаго входа подписчикамъ „Аргонавта“. Неподписчики покунають при входѣ номера еженедѣльнаго прибавленія.  
Редакторъ-издатель **И. Ф. Тхоржевскій**  
Администраторъ **И. Г. Хачатуровъ.**